ოქმი:**ო05. 3723233001**

თარიღი:**21/08/2023**

ოქმი №5

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2023 წელი, 18 აგვისტო

ქ.ოზურგეთი

12.30-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: პაატა კიღურაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ხ. ცერცვაძე, ნ. ქარჩავა, ვ. ნიჟარაძე, გ. მდინარაძე, ე. გორდელაძე, მ. ჩხიკვიშვილი, ქ. ვასაძე, ბ. კილაძე, ს. ქარცივაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023-2025 წლების სტრატეგიისა და 2023 -2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: პ. კიღურაძე

თანამომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

2. დაბა ურეკში, ე. თაყაიშვილის ქუჩაზე საგზაო ნიშნების განთავსების ორგანიზების შესახებ.

მომხსენებელი: პ. კიღურაძე

თანამომხსენებელი: ე. გორდელაძე

3. ქალაქ ოზურგეთში, ა. ნაკაშიძის ქუჩაზე საგზაო ნიშნების განთავსების ორგანიზების შესახებ.

მომხსენებელი: პ. კიღურაძე

თანამომხსენებელი: ე. გორდელაძე

თანამომხსენებელმა გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს გააცნო საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცედურები, აღნიშნა, რომ იგი შემუშავებულ იქნა აშშ -ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობით, ისაუბრა მის მნიშვნელობაზე,

რომ მისი განხორციელება ხელს შეუწყობს კომისიის როლისა და ეფექტიანობის ამაღლებას, კანონმდებლობით განსაზღვრულ თვითმმართველობის განხორციელებასა და აღმასრულებელი რგოლის შესაბამის სამსახურებზე ზედამხედველობის გაძლიერებას საბიუჯეტო წლის პერიოდში. აღნიშნა, რომ გეგმა შედგება 5-სტრატეგიული მიზნისაგან და ამოცანისაგან. დასახული ამოცანების განსახორციელებლად დასახულია აქტივობები, რომლებსა თან ახლავს შესაბამისი შეფასების ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირი, სხვა მონაწილე მხარე და განხორციელების პერიოდის მჩვენებლები. სტრატეგიის შესაბამისად შემუშავდა სამოქმედო გეგმა 2023- 2024 წლების პერიოდისათვის. მოხსენების მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კომისიის წევრმა ს. ქარცივაძემ განაცხადა, რომ უმჯობესი იყო სხდომის მასალები უფრო ადრე მიეწოდებინათ კომისიის წევრებისათვის. საბოლოოდ კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

თანამომხსენებელმა, ე. გორდელაძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტები:“დაბა ურეკში, ე. თაყაიშვილის ქუჩაზე საგზაო ნიშნების განთავსების ორგანიზების შესახებ“ და „ქალაქ ოზურგეთში, ა. ნაკაშიძის ქუჩაზე საგზაო ნიშნების განთავსების ორგანიზების შესახებ“, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს პროექტის ჯერ საკრებულოს ბიუროს, შემდეგ საკრებულოს სხდომებზე წარდგენა განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი სამივე საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

პაატა კიღურაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი